

9 772 298 409 500 8


საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს
ენციკლოპედია

პერიოდი

გვ. 2 ლარი

1134 / 2
2018



2018 / აგვისტო

8 (274)

ტარიან ჭანტური

პოეტს მიწებებულ კლიშეები

სარივევი



ესე	1	ნუგზარ ზაზანაშვილი პოეტს მინეებული კლიშეები
პოეზია	9	ნატო ინგოროყვა
	12	ეკა ქვეანიშვილი
	16	მარიამ ქალებაშვილი
პროზა	23	ლევან სეფისკვერაძე ზებერი ქურდები
თარგმანი	25	რობერტ ფროსტი ლექსები ინგლისურიდან თარგმნა ქარდა ქარდუხმა
პორტრეტი	30	მოლი კრებუბლი პუერტო-რიკოს უდიდესი პოეტი ხულია დე ბურგოსი - „საუბდისწერო ქალი“ ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
რეცენზია	39	ანდრო ბუაჩიძე თომას მანის და პერმან ჰესეს მიმოწერა
	43	ნონა კუპრეიშვილი ვიქტორ ეროფეევი: მე მოვკალი მამაჩემი!

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მიატყარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო:

რადი ამალაშვილი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლამა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაყელიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - ფასასპენიგაპლი სინგინფილა

სულხან-საბა

არილი - მზის შუში, რამიზა ფამფარი

ქართული ენის უნივერსიტეტი ლექსების

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ბაღდურ

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ყურნაღში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია


ყურნაღი გამოდის
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



მედიის
სახლი

ნუგზარ მაზანაშვილი

პოეტს მიწებებულ კლიშეები



ამას წინათ ჩემ ბიბლიოთეკაში შემხვდა ტარიელ ქანტურიას კრებული „მტკრიანი სხივი“ (1976); წიგნის გადათვალიერებისას გამახსენდა: რუსთაველისა და სხვა პრემიების ლაურეატმა ერთხელ დაიჩივლა, რომ მისი პოეზია სათანადოდ არ არის გაშუქებული ლიტერატურის მკვლევარების მიერ... და ჩავეფიქრდი: საიდან - ასეთი უკმაობის განცდა?..

სავარაუდოდ, ეს განცდა წარმოშვა წარსულში ტარიელ ქანტურიას პოეზიის შეფასების ანოზოზობაში: ყველაფერი ტრიალებდა ზედაპირზე, დამკვიდრებული „კლიშეს“ გარშემო და ამ კლიშეს ერქვა „ირონიულ-პარადიული პოეზია“. აღარ მახსოვს, პირველად ვინ განალაგა ასე ქანტურიას ლექსი პოეზიის „კლასიფიკაციის“ სქემაში, ან როგორ დასაბუთდა ამგვარი ტიპიზაცია. შესაძლოა, ამას გარკვეული ქვეტექსტიც ჰქონდა: ტარიელ ქანტურია თავისი - იმ დროისათვის სრულიად უცნაური, უეჭველად არა სოცერალის-

ტური - ლექსებით 60-70-იან წლებში გამოდის ფართო ასპარეზზე. ეს უკვე სტალინის პერიოდი არ არის, მაგრამ ცენზურა მაინც მკაცრია და შესაძლებელია, ზემოთ ნახსენები კლიშე პოეტის, მისი პოეზიის დასაცავად გამოიგონეს ლიტერატურის კრიტიკოსებმა: ირონიულ-პარადიულია, იუმორისტულია, ხუმრობაა, გაუგებია - ნეროს, გვახალისოს, სერიოზული იდეოლოგიური განხილვის ღირსი არ არის... არადა, ქანტურიას პოეზია სწორედ და უპირველესად იდეოლოგიური განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო, ამასთან - ორივე, არსებითად ურთიერთდაკავშირებული, მიმართულებით: ესთეტიკურ- და პოლიტიკურ-იდეოლოგიური. ამ წერიაში მე ცოტათი დაგარღვევ ბალანსს - პირველ „მიმართულებაზე“ გავაშვებ მცტ ყურადღებას და შევიცდები, ცოტათი „გავმფირო“ - რას ნიშნავს და როგორ იქმნება ეს „ირონიულ-პარადიულობა“ და მივანიშნო - რა ადგილს იკავებს ლიტერატურულ პროცესებში ქანტურიას ლექსი.

* * *

რამდენიმე რამ თავიდანვე დასაზუსტებელია. ერთი ის, რომ, ალბათ, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ „ირონია“ ზემოთ მოყვანილი - პირდაპირი - გაგებით (თუმცა არც ეს არის უმნიშვნელო - როგორც ერთი ფილოსოფოსი წერდა: ირონია ყველაფერს - სახუმაროსაც და სერიოზულსაც, გულწრფელსაც და დაფარულსაც - ერთდროულად უნდა შეიცავდეს) და გამჭოლი ირონია, როგორც გლობალური ხედვის „პირთვული“ ელემენტი, მსოფლმხედველობრივ-პოეტიკური ფენომენი; და სწორედ ეს უკანასკნელია გაცილებით მეტად მნიშვნელოვანი. სხვათაგანად თუ ვიტყვით, ეს არის სრული პოსტსტრუქტურალისტული ალქმა, რამაც ნორედ 60-70-იან წლებში დაიწყო დამკვიდრება - „მომხმარებელთა საზოგადოების“ (ფრომი), პოპკულტურისა და პროტესტული ტალღის მომძღვრების კვალდაკვალ. ამ გადასახედის, „ირონიალურ-პარადოქსულ“ გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასავლური კულტურის ფილოსოფიის, ესთეტიკისა თუ სახელოვნებო პრაქტიკის კონტექსტში ღამის სიონიშია „პოსტმოდერნულიზმის“, ხოლო ტარიელ ქანტურია პოეტური პოსტმოდერნის ერთ-ერთი პიონერად გვევლინება: სწორედ ამ დროს გამოდიან ასპარეზზე ამერიკელი და ინგლისელი პოსტმოდერნისტი პოეტები - იხ. ინტერნეტში, მაგალითად, კრისტოფერ ჯ. პედგეტის (Christopher J. Padgett) სადი-სერტაციო ნაშრომი „პოეზიის საკითხები: რადიკალური პოლიტიკა ამერიკულ პოსტმოდერნულ პოეზიაში“, სადაც წევნიერი ასეთი ლექსის წარმოშობას 60-იანი წლების სოციალურ თუ ანტი-ავტორიტარულ მოძრაობებს უკავშირებს (სხვაგან პოსტმოდერნიზმის წარმოშობის „ზუსტ“ თარიღსაც კი წაანგდებთ - 1968 - ცნობილი ინგლისელი მწერლის სტივენს სენდერის განსაზღვრებით: „ახალგაზრდა ამბოხებულთა წელიწადი“), რაც საგულისხმოა ტარიელ ქანტურიასთან მიმართებითაც (ამის შესახებ ამ წერილის ბოლო მონაკვეთში ვისაუბრებთ მოკლედ; 60-იან წლებში იწყება რუსეთში წერას პრიგოვიც, თუმცა სსრკ-ში მის წარმოშობებს არ ბეჭდავენ და ის პირველ წიგნს 1975 წელს უცხოეთში აქვეყნებს).

„პოსტმოდერნს“, „პოსტმოდერნიზმს“ ზოგიერთი ეჭვის თვლით უყურებს, ზოგს კი ის, საერთოდ, მკვდრადშობილ იდეოლოგიად მიაჩნია და მესაძლოა, ტარიელ ქანტურიას სრულიადაც არ ეპიტანება მისი პოსტმოდერნისტად მოხსენიება - მას ასეთი ლექსიც აქვს: ამ მოდერნისტული, / პოსტმოდერნისტული, / პოსტპოსტმოდერნისტული ბლეფით / ისე გამოვლენადი, ვეღარ დავგინახავს / მშვენიერა აფეთქებულ ბლები... // აღარც სინანული, / აღარც სიბრალული / უაზროდ დაკარგული წლების... / როგორ მენატრება, / როგორ მესტარება / ნიგორზღვის განთქმული ბლები... // როგორი რუღუნებით / არჩევდნენ საშურბედ / არანაზულ მოსაველს რძლები... / როგორ მენახება / თქვენ არ გენახებათ? - / უაზროდ დაკარგული წლები...

რაო, რას ამბობს პოეტი? მე ბოგორც მესმის ამბობს, რომ „იზმებისადმი“ (= „პოეტისადმი“, საყალბისადმი) მიძღვნილი წლები დაკარგულია - ამ დროს დაიკარგა ბუნებრიობა, უშუალო აღქმა მშვენიერების, პატარა მშობლიური სოფლის აფეთქებულ ბლები... და, განწყობილდებით, ესაა ნოსტალგია ბავშვობის სიმშუდრისადმი, ტრადიციულ-სადმი, კლასიკურისადმი... თუმცა არსებითად ეს ლექსიც პოსტმოდერნისტულია - ეს არის რელატიური ტექსტი, სადაც შეფასებულია ლექსის დასაწყისში მინიშნებული „მომართულებები“ (= შესაბამისი ტექსტები): ავტორი ფიქრობს, რომ მის შეფასება მართებულია; თან თითქოს მთლად დარწმუნებულიც არ არის - კითხვას სვამს: „თქვენ არ გეხანებათ?“ ვის ეკითხება? როგორც ჩანს, მეკითხველს, რომელიც მეტ-ნაკლებად ერკვევა ამ „იზმებში“... ხოლო ასეთი მეკითხველი, დიდი ალბათობით, არ დაეთანხმება ავტორს: ჯერ ერთი, პოსტმოდერნიზმი იმდენად ფართო იდეოლოგია (მოდერნიზმიც), რომ ის საგნებისა და მოვლენების უშუალო აღქმასაც იტყვს (და ამის მაგალითი თვითონ ეს ლექსიცაა); და მეორეც, მეკითხველ ქანტურიას შემოქმედების მთლიანად წარმოსახვისას „დაკარგული წლების“ განცდა არა მგონია, გაუნდეს.

„პოსტმოდერნიზმის დეფინიცია“ და ისტორიაც - ორივე იქცა მწვავე განხილვის საგნად; დეკლარირებულ იქნა პოსტმოდერნიზმის გარდაცვალება ღამის მისი წარმოშობისთანავე, მაგრამ, როგორც გაცხადდა, ის ისევ ჩვენთანაა“ - წერს 2007 წელა გამომცემებულ ერთ-ერთ თავის ნაშრომში ცნობილი კანადელი მეცნიერი, ლიტერატურის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ლინდა ჰატჩეონი (Linda Hutcheon; სხვათა შორის, უფრო ადრე პატჩეონს ირონიას და პარადიქსისადმი ცალკე თეორიული ნაშრომებიც აქვს მიძღვნილი) - ხოლო თუკი ვინმეს, ამა თუ იმ თვალსაზრისით, სიტყვა თუ ტერმინი „პოსტმოდერნიზმი“ არ მოსწონს, - რაც უნდა, ის დაარქვას იმ მიმართულებას, რაც მოდერნიზმის შემდეგ გაგრძელდა მსოფლიოში. მე კი ამ წერილში სიადვილისთვის ისევ „პოსტმოდერნიზმს“ გამოვიყენებ, და აქვე დავძენ - ცნობილია, რომ ვერც ერთი გამოჩენილი პოეტი ერთი რომელსაში, გინდაც ძალიან ფართო, მხატვრული იდეოლოგიის ჩარჩოში ვერ ეტყვა, გაუმდებობით გადის ამ ფარგლებიდან. ასეა ტარიელ ქანტურიაც - როდესაც ვამბობთ, რომ ის პოსტმოდერნისტი, გვეულისებობთ: მისი ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი შეესაბამება პოსტმოდერნულ მსოფლალქმასა და ესთეტიკას - ესაა და ეს.

* * *

იმ წლებში პოსტმოდერნის კვალი უკვე შეინიშნება ქართულ პოეზიაში, სახელოვნებო, მუხრან მანჭავარიანის (იხ. ლევან ბრეგვაძის წერილი „პოსტსტრუქტურის კულტურის სივრცე და ლიტერატურული პროცესი“), მურმან ლებანიძის, მიხეილ ქელიძის, განსაკუთრებით კი - ვახტანგ ჯავახიძის (რომელიც,



ჩემი აღქმით, შემდგომ „ნამდვილი პოსტმოდერნისტი“ გახდა) და ბესიკ ხარანაულის (იხ. ზურაბ ქარუმიძის წერილი „პოსტ-საბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი“), ასევე, ზოგიერთი სხვა პოეტის შემოქმედებაში, და მაინც, ჩემი აღქმით, ამ პერიოდის მათი პოეზია მეტად შეესაბამება „გვიანი მოდერნიზმი“ თუ „მალბარი მოდერნიზმი“ პოეტიკას. ეს იოტისოდენადაც არ აკნინებს დასახელებული და სხვა ჩემი გამორჩეული პოეტების დიდ ღვაწლს, შეტანილს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლექსის განახლებისა და სოციალისტური იდეოლოგიისა და „მეთოდოლოგიის“ ელიმინირების საქმეში. უბრალოდ, ეს ცოტათი სხვა, უფრო ტრადიციული, მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ მოდერნისტულ ტრადიციებთან მეტად დაკავშირებული გაზა იყო. ღარიულ ჭანტურიამ კი იმთავითვე უფრო რადიკალური გაზა აირჩია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამის მიუხედავად ჭანტურია სათანადოდ აუფასებს და გულწრფელად სცემს პატივს „მალბალ მოდერნიზმს“, რაც, მაგალითად, ოთარ ჭილაძისადმი დიდი ხნის წინ მიძღვნილ ლექსში აშკარად მუდგანდება: აკვირდები ცისარტყელას - / ღმერთისა და კაცის ტიხარს. / ტიხარს აქეთ - კაცი ხარ და / ტიხარს იქით - პოეტი ხარ. / (...) / მიკვირს კიდევ ზოგჯერ, როცა / ჩვენთან გხვდავ - დგახარ! ზიხარ! / სულ ღმერთებში იტრიალებ, / ოდეს აიღებენ ტიხარს!..

კიდევ ერთი „ეპითეტი“, რაც ღარიულ ჭანტურიას „მიენება“, არის „ნოვატორი“; ბუნებრივად იზადება კითხვა - რატომ? - ნოვატორი ხომ ამ პოეტის „პრეროგატივა“ არ არის: უთუო წინა, მისივე და ცოტათი უმცროსი თაობები თუთო ნოვატორები არიან, მაგალითად, ზემოთ დასახელებული პოეტები, აგრეთვე, ანა კალანდაძე, გივი გეგეჭკორი, ლია სტურუა... და საერთოდ, ყველა ნიჭიერი და გამორჩეული პოეტი მეტ-ნაკლებად ნოვატორიკაცა.

მაგრამ ჭანტურიას ეს ეპითეტი ალბათ იმიტომაც „მიენება“, რომ ის ნოვატორობაშიც რადიკალურია. ვინ წერდა ასე იმ დროს ჩვენში? - (უსათურო. სტიუარდებს) -

ბუზბუ... ბუზი სარკმელთან
მიმწყვდეულია. ბუზი სარკმელთან
მიმწყვდეულია. ბუზი სარკმელთან
მიმწყვდეულია. ბუზი სარკმელთან...

როგორც სარკმელთან - გოგონა ცასთან
მიმწყვდეულია. გოგონა ცასთან
მიმწყვდეულია. გოგონა ცასთან
მიმწყვდეულია. გოგონა ცასთან...

ან ასე (ალბერ კამიუს თუთიყუში, იუმორესკი):

სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!
სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!
სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!
სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!

სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!
სისულელეა ყველაფერი! სისულელეა!

ან კიდევ ასე (ლექსიდან „ნათხვარი ფირფიტა“):

ვითელი, ვითელი, ვითელი, ვითელი:
ერთი! ორი! სამი! ოთხი! -
ბითელი. ბითელი. ბითელი. ბითელი.
ბოთელი. ბოთელი. ბოთელი. ბოთელი.

„ცეკვა კაფე „ამბასადორში“ კი ნიშნულ ლექსად, დროის ცვლილების მომასწავებელ ერთგვარ გამოკვეთილ ნიშნადაც იქცა:

ტვისტი და ტვისტი, ჰალი - ვალი!
ფიცი და ფიცი. ქალი. ქალი.
ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი.
როკი და როკი. ჰალი - ვალი!

- ხომ არ გეშინია?
- მეშინია!
- რატომ გეშინია?
- მეშინია!
- კიდევ გეშინია?
- მეშინია!
- გესმის? გერშვინია!
- გერშვინია. (...)

თუმცა, ჩემი შეხედულებით, ჭანტურიას ნოვატორობა უპირველესად იმით გამოიხატა, რომ პოეტმა ყურადღება მიაქცია ყოველდღიურობას, ჩვეულებრივ, ყოფით, სრულიად „არაპოეტურ“ საგნებს თუ მოვლენებს, დეტალებს, მწარღმანებს. მაგალითისთვის, ჩამოვთვლოთ ზოგიერთი „რამე“, რაც ჭანტურიას პოეტური წარმოსახვისათვის საინჰუმუსოა: ავტომანქანის ნომერი (BBS-979 ან გრმ 75-73), ავტობუსის რეისის ნომერი (ოცდაშვიდი), კარტის აბალი დასტა, მიქსერი, მტვერსასრუტი, სამზარეულოს ჩაიდანის, ახლად გახსნილი კაფე-ბისკონი, დოლარის კურსი, ყავის სახელი (ნესკაფე), წამლის სახელი (დიანე-პამი და სხვ.), ჯინის ფირმის სახელი („ლევით-შტრაუსი“), ტატუირება, გენმოდიფიცირება, გენბავთ, იგივე სარკმელთან მიმწყვდეული ბუზი, ნათხვარი ფირფიტა და მისთ. და, ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი უმთავრესი პოსტმოდერნისტული სიახლე იყო ქართული პოეზიისათვის (მე პირადად, ამ ჩამოთვლისას უორშოლის კონსერვის ქილები გამახსენდა).

არ შეიძლება იმის თქმა, რომ სხვა სამოციანელებსა თუ სამოცდაათიანელებისათვის ასეთი ხედვა უცხო იყო - არა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მათთანაც თანდათან ჩნდება მსგავსი ელემენტები, მაგრამ ჭანტურიასათვის ეს „ელემენტები“ არ არის, მათთვის ეს რაკურსი, გარკვეული აზრით, სასაფუძვლოა, ორგანული და რეგულარული.

* * *

ორიოდ სიტყვით ტარიელ ქანტურიას პოეზიის ფესვებსაც შევეხოთ. ჩემი აღმზრდელი, საქართველოში - შოთა ჩანტლაძესთან სულიერი ნათესაობის (ქანტურიას ჩანტლაძისადმი რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი), მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი - ფუნდამენტისა და აკაკის ნაკვეთების, ომონის რისტ-პაროდული და სოციალურ-პოლიტიკური ლექსების გავლით - ბოლოს მივალთ გურამიშვილის „ქაცვია მწყემსთან“; უცხოეთიდან შესაძლებელია გავგახსენდეს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის შესანიშნავი გერმანელი პოეტი ხრისტიან შორენაშვიტი და უფრო შორს (თუკი მოვლდ ანტიკურ პერიოდს არ გადავწყვედებით) - ფრანსუა ვიიონიკ კი (ტარიელ ქანტურიას აქვს ახელი სახალისო პოემა „რემეიკი“ „ფრანსუაზა ვიიონის ანდერძი“, სადაც, თუ არ ვცდები, პირველად „გამოჩნდა“ ქანტურიასეული უხამსობებიც, რაც იმ დროის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებისთვის ექატაფური რამ იყო).

გარდა ამისა, ქანტურიას ლექსი ზოგჯერ იწვევს ასოციაციებს მე-20 საუკუნის დასაწყისის ავანგარდისმის, სახელდობრ კი ფუტურისმიზმისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ფორმულურ პოეტურ ნოვაციასთან, მაგალითად, სიტყვათქმნადობასთან - ქანტურია ფუტურისტიკებით ბევრ ახალ კომპოზიტს იგონებს; ასევე, სრულიად ფუტურისტულად გაისამის ზოგიერთი მეტაფორა: და იმშუდებით; ან - ვაქცია მინდვრებს ანოყიერებს; ან - როცა ვამშავებელი / მოქრის ტალღა - ბიზონი; სიტყვებით თამაში (არ აგვერიოს თამაშის ესთეტიკაში): ვამა-ვამოსხივების გამო გამშუდებით; ან - გოდოს გოდო, გოდოს გოდო, გოდოს გოდო გადაეხა. მეორე მხრივ, ქანტურიას პოეტურ სამყაროს ფუტურისმიზმს იდეოლოგიასთან თითქმის არაფერი აქვს საერთო: ქალაქის, ინდუსტრიის, მანქანებისა თუ სისწრაფისადმი იგი დიდ სიმპათიას არ ამჟღავნებს და არც ტრადიციებს უარყოფს - რა პარადოქსულად გინდა ჟღერდეს, მისი „რადიკალური პოეზია“ (ზოგი მწერალი ექსცენტრულსაც რომ ეძახის) კი არ უპირისპირდება ქართულ სალექსო ტრადიციებს, პირიქით - მნიშვნელოვანწილად ამოზრდილია ამ ტრადიციებიდან (რის შესახებ თვითონაც წერს: ვული მტკივა, მტკივა, მტკივა; / იმის შუილი, შუილი, შუილი. / მე ვარ შოთას შვილის შვილის / შვილის შვილის შვილის შვილი... და რაზეც ზემოთ ჩვენც ვიგანიშნეთ); პოეტი იყენებს ამ ტრადიციებს, ახლებურ, ახალ ტრადიციებს ქმნის და გლობალურ კონტექსტში ათავსებს მათ - როგორც, მაგალითად, ლექსში „1989“: (...) კვლავ გმსახურე რუსთაველს შენსას, / შენს მერჩეულს და მროველს, / ილია შართალს; / მართლუ აკაკის... / მრავალ ახალ წელს, / მრავალ... // როდენს უცქირე, / მოაქნს უსმინე, / უსმინე ბაბს და რაველს... / მრავალუამირ! მრავალ ახალ წელს, / მრავალ ახალ წელს, / მრავალს!

და ამის გათვალისწინებით, ვიტყვოდი, რომ, ტარიელ ქანტურიას პოსტმოდერნი ნაციონალისტუ-

რიცაა: პოეტი ლამის ყველაფერს იწვევს და, გარდა ერთისა - სამშობლოს რწმუნისა, ყველაფერს ეწინააღმდეგება პოსტმოდერნიზმის ანტი-რაციონალურ და ანტი-ტოტალიტარულ კონტექსტებში.

* * *

თამაშს, თუ ცდუნებასთან დაწყვილებულ „მინდა თამაშს“ (ბოდრიარი), დაპირისპირებულს საგნებისა და მოვლენების, სწორედ, „ტოტალიტარულ“ ერთმნიშვნელოვან ხედვასთან პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიასა და ესთეტიკაში დიდი ადგილი უჭირავს. ასევეა ტარიელ ქანტურიას პოეტურ სამყაროში, რაც ადრეც ანაერისხელ აღუნიშნავთ ლიტერატურათმცოდნეებს; და ეს თვითონ პოეტსაც მძევნივრად აქვს გაცნობიერებული - „სხვათა შორის, მწერლობაც თამაშია; თამაშის სახეობაა. ცოტა უფრო რთული, ვინემ იგივე პოეტი, უფრო საინტერესო, უფრო ლამაზი, უფრო ტრაგიკულიც - აქ მეტის მოგებაც შეიძლება და მეტის წაგებაც - მაგალითებს თავად გაიხსენებთ“ - ამბობს ქანტურია „რადიო თავისუფლების დღიურებში“. პოდა, მოდით, ეს „თამაშზე ანჭობილი“ ლექსიც წავიკითხოთ - „ხელრთვა; ი. გრი... (იოსებ გრიშაშვილი)“:

ი. გრიშაშვილი. ი. გრიშაშვილი. ი. გრიშაშვილი.
ი. გრი...
თამაშობანი გრიშაშვილისა ძველტფილისური
„იგრი“

ხაში, ლავში. ღვინო. მწვადები. ღუმბა. ყაურმა
ჯიგრის...
აშოლანების დასტა. დასტაში - ლექსის ჰამქარი -
ი. გრი...

მხოლოდ - დუდუკი, მხოლოდ - ართურმა.
ათამში ერთხელ - ფიქრი...
სწუხს სუფილიორის ბუდურჯანაში ი. გრიშაშვილი -
ი. გრი...

წლები გარბიან. წლები გადიან. ჟამი უგულო
მიჭრის...
როგორ ჩამქრალა ყოჩი ნაცადი - ი. გრიშაშვილი -
ი. გრი...

უფრო - ამერი. უფრო - იმერი. ფშაველი. კახი. ეგრი.
კაცი - შიქსატა, კაცი - საბარი, ი. გრიშაშვილი. ი. გრი...

ვით მოიძულეს, ვით გაიმეტეს, ვით დაივიწყეს ეგრე
კაცი - ფუტკარი, კაცი - სახთელი, ი. გრიშაშვილი. -
ი. გრი...

წევს მთაწმინდაზე, წევს რაბანია. თუმც მაქნისია
იქ რის...
მალღაც აზიდეს, დაბალა დაამხეს ი. გრიშაშვილი,
ი. გრი...

სადაც ნიავე ქროდა კოფრისა, იქ ახლა სხვა ქარი
ქრის...

და ქარს არ მოაქვს ხმა აშულისა -
ი. გრიშაშვილის... ი. გრის...

ამ ლექსის იმპულსად უთუოდ იქცა იოსებ გრიშაშვილის ხელმოწერა, რასაც ტარიელ ჭანტურია ადღაღცა ნააწყდა, თითქოსდა მიხვდა ამგვარი „ხელწერის“ „ორმაგ კოდირებას“ და ეს რითმით გამოთქვა: ი. გრი - „იგრი“ (иґры - „თამაშობანი“; „იგრი“ - გრიშაშვილის ფსევდონიმი); და, გვერდება, თამაშ-თამაშ დაიბადა ეს უმშვენიერესი ლექსი - ჩემი გემოვნებით, ქართული პოეზიის კიდევ ერთი შედეგ-რი (საინამდვილეში, დარწმუნებული ვარ, ამ ლექსის „სათამაშო სიმსუბუქის“ უკან დიდი შრომაა; მათი პოეტური გააზრება, მათთვის ყველაზე ზუსტი ადგილის მიჩენა და მისი...).

ამასთან, ეს ლექსი ტარიელ ჭანტურიას პოეტიკის შიშველივინი საერთო ნიშნების შემცველიცაა. ზოგად პოეტიკურ მომენტებზე უკვე ვისაუბრეთ. ახლა, მოდით, რთმისაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ჭანტურიას აქვს ვერბობის ფორმის ლექს-სებები, მაგრამ მაინც რითმის - ზუსტად, და არა-ზუსტაცა, ასონანსურსაც და დისონანსურსაც, რთულსაც და მარტივსაც (და ზოგადად ბერძნულ-რულ სიახლოვეს) - მის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; და არა მხოლოდ იმ კუთხით, რომ იქმნება ლირიკული რითმი (მაგალითად, ადრეული პერიოდის: იაკუარის-იაკო არის; მიე „სოს-კა“-იესოს, ქია; ასევე - სტალინ-სტალინი; სალო-ლიაგო-სულელიაო; [მოფილისი]ფოსი ფიხო-ლო-თობის და! ბორობისი და სხვა მრავალი); - ჭანტურიას პოეზიაში ამოსავალი რითმა ხშირად იქცევა ლექსის იმპულსად, ინსპირაციად (როგორც „ი. გრი“-ში) და განსაზღვრავს ლექსის შენდგომ მდინარე-ბას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს რია რითმის აქცენტირებას (სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებით), რაც ხშირად ლექსის ინტონაციას და განწყობილებას განსაზღვრავს. კიდევ ერთი დამატებითელი „აქტივური“, თამაშის გარემოს შემქმნელი, ელემენტია უსრულო სიტყვების რითმისათვის გამოყენება (ი. გრი-„იგრი“-ს მსგავსი): რო-კორ მინდა, მინდა, მი... / ბაგე შარწყვი, მარწყვი, მა... / გაგორდა შენი ხმის, / შენი ნაღვლიანი ხმა.

ამჟამად ის, რომ ჭანტურიას ერთ-ერთი პოეტიკური პრინციპია - ლექსი არ უნდა იყოს მოსაზრებით (პოეტი წერს სხვა მხერგზე - წერს, მოწყვნილი, მოსაწყენ წიგნებს-ო); და ამ პრინციპსაც ემყარება მარბა ჭანტურიას პოეტიკის ძირითადი კომპონენტები, მათ შორის - რიტმი, რაც „ი. გრი“-შიც და, ზოგადად, პოეტის შედარებით ვრცელი ლექსები უმეტესობაში დინამიურია. ხშირად რიტმს განსაზღვრავს ლექსის ერთეულების გამორეცხვა: ლექსის სჭირდება გული. ლექსს სჭირდება ლექსი. / ლექსს სჭირდება ცრემლი. ლექსს სჭირდება ხისხილი / (...) / ლექსს სჭირდება სექსი - თუ მართლაა ლექსი და სხვ.

კიდევ ერთი ნიშანი, რაც „ი. გრი“-შიც ჩანს, კლასიკური გაგებით, ტროპების თუ მეტაფორების სიმ-

ცირება და ეს ზოგადად დამახასიათებელია პოსტმოდერნიზმის, ტროპებიდან ტარიელ ჭანტურია უფრო ხშირად შედარებას იყენებს და ასეთ მშვენიერ დასაბამს პოეტურებზე სახეებსაც ქმნის: როგორც მეცხრე ხართლზე / აყვანილი ვაზი - / მტვერის-ტოლა გოგონა / მხარზე ისე აზის. („მძალი ნამა“).

ცალკე აღსანიშნია ლექსიცა, რაც სასებით შეესაბამება პოეტის მსოფლალქმასა და პოეტიკის მრავალფეროვნებას, პოსტმოდერნის ტერმინოლოგიით - ერთგვარ „ქოსას“; ან როგორც ახალგაზრდა, დიდად ნიჭიერი კრიტიკოსი ნიკა ავლაძე ამბობს, „რადიო თავისუფლების ბიბლიოთეკა“-ში ზოთა იათაშვილთან საუბრისას (ქანტურისა „სიყვარულის შავი ყუთი“-ს შესახებ): „ეს არის გამიზნული ექსლექტურობა, არეულობა“. ირონიულ, სატირულ, იუმორისტულ, გროტესკულ, ტრაგიკომიკურ თუ დრამატულ ლექსებსა და პოეტურ ნაშაყებში მრავალფეროვანი ლექსიკური ფორმები გამოყენებული - დანეგებული არქაულიდან, ხელნეგია და უხამსობიდან დამთავრებული: როგორც ცნობილია და ამ ნეროლიკე ჩანს, ტარიელ ჭანტურია არ ერიდება ეგრეთ ნოდებულ „ცუდ სიტყვებს“ და, ჩემი აღქმით, ესეც ერთგვარი პოზიციაა - ცუდი სიტყვა არ არსებობს, არსებობს უადგილოდ გამოყენებული, კონტექსტიდან ამოვარდნილი ან ლექსის სტილის შესაბამის სიტყვა...

საერთოდ კი, პოსტმოდერნისტული ფორმების „არსენალიდან“, ზემოთ მინიშნულების გარდა, ჭანტურიასთან შეხედებით: ინტერტექსტულობა, ციტატებაცა, პოსტმოდერნულ ალუზიებსაც, ოქსიმორონებსაც და სხვ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, პოეტი არც თავიდან დაფიქრებულა ამაზე და ლექსის წერის დროს არც ახლა ფიქრებს: ეს ყველაფერი მსოფლალქმასა და ზოგად პოეტიკურ ხედვას ავტომატურად მოჰყვება თან.

* * *

ახლა, თანამედროვედ თუ ვიტყვი, დისკურს-სებზეც ვისაუბროთ მოკლედ. ზოგადად, ჭანტურიას პოეტურ სამყაროში დისკურსები ერთმანეთს კალეიდოსკოპურად ენაცვლება, ხშირად ერთსა და იმავე ლექსშიც კი სხვადასხვა დისკურსული შრეები ჩაქსოვილი. ქვემოთ ჩემი - მთავარი დისკურსების უფრო მკაფიო წარმოჩენის მიზნით - შევეცდებით, „ხელნეგურად“ განვცხადოთ ის ეფენი და ასეც, ცალ-ცალკე ვისაუბროთ მათზე.

ზემოთ მოყვანილი ლექსი „1989“ ისტორიულ-პატირიტული დისკურსითაა შესრულებული და ეს დისკურსი ერთ-ერთი ცენტრალურია „ნაციონალისტური პოსტმოდერნისტის“ შემოქმედებაში. პოეტი მთავითვე კონცენტრირებულია საქართველოზე, მის ბედზე, წამყვან, აწმყვან თუ მყოფადზე, ოღონდ - როგორც ზემოთაც დავკრძნობდებოდით - კონცენტრირებულია თავისებურად, ჭანტურიასული სტილით (ქვემოთ მოყვანილ ლექსში გრაფიკის ელემენტებიცაა გამოყენებული): მე: ვარ: ფარს: ფარნა-ვანს: / მე: ვიფარავ: მტკვარს და: ფაზის: / ზედ: ვამტკი: მთა: მავსა: / მორჩა: შევნიერი: ვაზის:

(„წარწერა მეფე ფარნავაზის ფარზე. რამაზ პატაროც“). თუმცა, ჭანჭურუის სამშობლოს მიმართ მუდამ ასეთი პოზიტიური არ არის - სიმირად მეტისმეტად კრიტიკულიცაა და მწარეც: დედის ნაოფლარს ქარს გაატანს / ჯერ ლაშა, მერე რუსუდანი... / და მოცა ბოლოს ერეკლე და / ქართლს ყელს გამოჭრის რუსულ დახით...

ასევე, დიდი ადგილი უჭირავს პოეტის შემოქმედებაში პოლიტიკურსა და სოციალურ დისკურსებს და ესეც შეესაბამება პოსტმოდერნის „ზუნების“. აქ განსაკუთრებით გამოკვეთილად მჟღავნდება პოეტის კიდევ ერთი ნიჭი - მახვილსიტყვაობა და ასე ამ ყაიდის ლექსებიც გაკითხებენ თავს და გამახსოვრდებიან. ზოგან ჭანჭურუისათვის დამახასიათებელ, ზემოთ უკვე ხსენებულ, ოუმორისტულ თუ სატირულ უხამსობებსაც მიაკვლით (ამ ლექსში მიაქცეით ყურადღება სახალისო რითმსაც): როცა დასრულდა თქვენმეტი / და დადგა ცხრაას ჩვიდმეტი, / მაშინ გვირჩია ბელადმა: / ჭამეთ ნაკლები, ჯვით მეტი („ვიხსენებთ წარსულს. უხამსი ლექსპრობიტი“). ან ეს ორი სატირული ლექსი წავიკითხოთ - ისეც მინიმალისტური, სახალისო „ლექსპრობიტებიდან“ (ახლებური კომპოზიტი „ლექსპრობიტები“, რომელიც დღეს უკვე ფართოდ გამოიყენება ლიტერატურულ წრეებში, ტარიელ ჭანჭურუის გამოგონილია): არ სჭირდება ამ ხალხს / ვან გოგი და დიურერი - / უღვაშააწყებილი / უნდა ერთი ფიურერი! ან - კი, ახლოდან / ვიცნობ მაგას / ჯერ - კენჭს იყრის, / მერე - მახათს! („დედუშატი“)... და ეს სამივე, ზემოთ ნახსენები, დისკურსი უთუოდ ანტი-ტოტალიტარულიცაა.

ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჭანჭურუის პოეტურ სამყაროში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას (გნებათ - სექსუალურსაც), ქალი-სადმი დამოკიდებულებას, სიყვარულს, მეგობრობას. დღესაც პოპულარულია მისი: „უხერხულია შენ გერქვას ცოლი“, „გმვენის ლოყაზე ხალილია“, „არ მაძლევს ეს ქალი მოხვენებას“ და სხვ.; ხოლო - ხუმრობით (გინდაც - სერიოზულადაც) თუ ვიტყვით - ზოგადად როგორ ჩედავს პოეტი ქალის როლს - ეს, აი, ამ ოთხ სტრიქონშია გაქცაბებული: სამი დამა მირჩევნია / სახელოვანს ამა კაროლს! - / ქალი ქმნის და ქალი ანგრევს / პოეტების სამყაროს... ზოგან ჩნდება ბიბლიური ევას სახეც: ნეტავი ადამს ევასთვის / თუ გაუსინჯავს სიცხე, / ან ევას ადამისათვის / გაუზომია წნევა!

ეს უკანასკნელი ამონარიდი მკაფიოდ ამჟღავნებს ტარიელ ჭანჭურუის პოეზიის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს - პოეტის გლობალურ და იმავდროულად დროის გამჭოლ ხედვას: ჭანჭურუია თამამად „ათანამედროვეს“ ბიბლიურ სიუჟეტებსა თუ პერსონაჟებს. ლექსებში, ასევე, მსხვედრებში ბეერი, ძველი და ახალი, უცხოელი მწერლის, მხატვრის, მუსიკოსის, მსახიობის, პოლიტიკოსის სახელს, ბევრ უცხოურ გეოგრაფიულ დასახელებას, ბევრ ცნობილ გლობალურ მოვლენას თუ საერთაშორისო ამბავს და სხვ. საინტერესოა ისიც, რომ ეს

ყველაფერი უმეტესად საქართველოსთან მიმართებითაა „განაწლიზებული“ და ამ გზითაც აისახება - ჭანჭურუის პოეტურ სამყაროში - საქართველო მსოფლიო რუკაზე.

ამ მონაკვეთის ბოლოს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანს დისკურსზე გავამაზვილებ ყურადღებას - მას ეგზისტენციური შეიძლება ვუწოდოთ: პოეტის ბევრს ფიქრობს სიკვდილზე, სიკვდილის შიშზე, სიკვდილ-სიცოცხლის ტრაგიკულ მიმართებაზე: წუთი რაა - არ ყოფილა წუთი, / წამი რაა - არ მქონია წამი - / ის - უჩინო, ის - უთქმელი ლანდი / თავზე რომ არ დამდგომოდეს ლამით... და ასეთ ლექსებში ირონია სმირად ადგილს უთმობს დრამატულობას (ირონია-დრამატიზმის მონაცვლეობას ტარიელ ჭანჭურუის ლექსებში ეძღვნება გვიც ალბაზიშვილის წერილი „სივრცე ღიმილსა და ცრემლს შორის“). ამ ყაიდის ბრნივალე ლექსია „ჩიტი ბალახში“: „ბუდსოდენა საფლავი / ეყოფა ალბათ ჩიტს! / პატარუნდა - პატარას, / დიდი საფლავი იდებს (...) ვდგავარ და ვუსმენ ცხოვრებას - / ასჯერ მოყვალდ მისი! / ბუდსოდენა საფლავი / ჩიტმა დაუგო ჩიტს!“, და მოდით, ეს ლექსიც წავიკითხოთ (ჩემი აზრით - კიდევ ერთი შედეგრი):


მაგრამ ცხოვრება რაა?
(ჩენებ ცხოვრება არის
სიკვდილის გამოსახმობად ჩამორეკილი ზარი!..)

- ზარს ნუ აწვალე, ბიჭი!
- ახ, შე გშამკო, შე!
ლია კარი. კარები.
კარი. კარები. კარი.

ო, ღმერთო! ეს ხომ ბავშვი...
ეს ხომ მთლად ბავშვი არის!
მეყვდა ხოტორა ბიჭი - რეკავს მეუზობლის ზარი!
ზზზზზ! - რეკავს და რეკავს!
ზზზზზ! - რეკავს და რეკავს!
ყველაღი სახლში იყენებ!.. ახლა არავინ არის!
მყარდოლი თრთოლვა
მტყვრით დაფარული მთვარის
გართმევს კიბეზე ასვლის
ღონეს და ბავშვურ ხალისს!..
ლით წაყიდნებ მაინც... სად იქნებიან, ნეტავ!
ყოველთვის სახლში იყენენ. ახლა არავინ არის!..

* * *

იუმორი - იუმორად და სატირა - სატირად, მაგრამ ის, რაც განსაკუთრებულ ხიზლს ანიჭებს ტარიელ ჭანჭურუის პოეზიას, არის თეითირონია (და ესეც არაერთხელ აღუნიშნავთ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეებს): ტარიელ ჭანჭურუიამ იცის თავისი შემოქმედების ფასი, მაგრამ ისიც იცის, რომ რაგინდ ბრნივალე ნაშეშევრებას ქმნიდეს ადამიანი, ის მაინც უპირდევს ადამიანს, სივრცე-დროში ჩაკარგული მონეულადი არსებაა, არსაიდან ერთი ნუთით რომ მოდის ამ ქვეყნად და მერე - ვინ იცის, სად მიდის... ამიტომ, პოეტი მოჭარბებული სერიო-



ზუღოობით არ ეციდებდა არც სხვის და არც საკუთარ პერსონებს. ჭანჭურისა თაფის თაფზე ბევრი ლექსი აქვს დანერგილი, მათ შორის ასეთებიც: „პოკერისტა, მსმელს და ბუნებით ზარმაცს / მომცა სიგნალი სიბერის ზარმა, / და აირია ოცნება, გეგმა, / და სხვა-ნაირად აიჭრა კარმა... (...) პურის წილ - ქატი, შალის წილ - ნარმა... / ბედს ვერ ვაჯობე მე უმცარმა... / კაცობრიობის დასატირებლად - / ცრემლი რაღაა - ცრემლიც კი არ მაქვს...“ ჩემი ნაკითხვით, ზემოთ ნათქვამის კიდევ უფრო მეტად შთამბეჭდავი ილუსტრაციაა, აი, ეს ლექსი („მე, მაგალითად, სასაცილოს ვერაფერს ვხედავ“), რომელსაც განსაკუთრებულად „თვითთრონიულსა“ და, მე ვიტყვოდი, „სასაცილოსაც“ ხდის ბოლო - „დაეჭვების“ - სტრიქონში ჩაქსოვილი არაჩვეულებრივი იუმორი:

ბებიქაალი, ვისი აყვანილიც მე ვარ -
ჩემი დაბადების შემსწრე ბებიქაალი -
სულ ამას ირწმუნება:
გაახილა თუ არა თვალი,
იმ პირველი წამოტირების მაგიერ
ერთი გულიანად გადაიკისკისაო!
(...)
მარტო სამშობიარო სახლის გამგეს,

თამარა ნაკიძეს ეცინებოდა ამაზე -
სულ გამოშტერდა ეს ჩვენი ექთანი,
რის სიცილი, რა სიცილიო!
ძმაცაცებსაც რამდენჯერ უთქვამთ,
შენ, ბიჭო, რავე ყველაფერზე იცინიო!
ვერც გაამტყუნებდი ბიჭებს -
იმ ერთი, ერთადერთი ადამიანის სახელი მქონდა,
გაჩენის დღეს, ტირილის ნაცვლად, სიცილი რომ
დაიწყო!

პირადად მე ამის არც ადრე მჯეროდა და
არც ახლა მჯერა:
ამ დედაშობიარე ქვეყანაზე გაჩნდი,
მერედა, რა არის ამაში სასაცილო!
მერა, ვიფი ვიყავი? -
რატომ გაეიცინებდი!
არა მგონია, გამეცინა!

* * *

დაეუბრუნდეთ თავში ნახსენებ „უკმარობის განცდას“. ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა დიდად ნიჭიერი და ერუდირებული ახალგაზრდა კრიტიკოსის და პოეტის ლექსი დორეულის წერილი ჭანჭურისა პოეზიის შესახებ („ტარიელ ჭანჭურია - ხმის პოეტი“), რომელიც ძალიან საინტერესო დაკ-

ვირეუბებსა და შეფასებებს შეიცავს (და ამ ნერილ-ში თავმოყრილი ჩემი შეფასებები ბევრ მათგანს ემ-თხვევა თუ იმერებს). ნაიკითხვ, ასევე, ზემოთ ციტირებული, ნიკა აგლაძის სხვა ნერილი - „ქმა-ყოფილი ვართ მაგ წიგნით...“, სადაც მას მოჰყავს არგუმენტები თეიმურაზ დოიბაშვილის მიერ ტარი-ელ ჭანტურიას პოეზიის მიმართ გამოთქმული მწვა-ვე კრიტიკის წინააღმდეგ. ამ ცნობილ ლიტერატუ-რულ პაექრობას მე არ ჩავლურმავებ: ვფიქრობ, ეს კერძო შემთხვევაა, უნაკლო არავინ და არაფე-რისა ამ ქვეყნად - მსგავსი „ექსცესები“ ყველგან ხდე-ბა და ისინიც აცოცხლებენ ლიტერატურულ პრო-ცესს. მე დიდ პატივს ვცემ თეიმურაზ დოიბაშვილ-სა და ლევან ბრეგვაძეს, გულწრფელად და დიდად ვფასებ მათ როდეს ქართული ლიტერატურაშიცოდ-ნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითა-რების საშვილიშვილო საქმეში.

ამ შემთხვევაში დროულსაა და აგლაძის ნერი-ლები სხვა რამის სათქმელად მოვიყვანე: როდესაც სულ ახალგაზრდა ლიტერატურაშიცოდნეები ასე გამორჩეულად აფასებენ პოეტის ნაღვანს - ეს უთუ-ოდ იმას ნიშნავს, რომ ჭანტურიას ლექსი დღესაც ახალგაზრდა და ზემოქმედებს ლიტერატურებისა და მკითხველის ახალ თაობებზეც. მეტსაც ვიტყვი: ერთგან წაიხრედი ასეთ დაკვირვებას - დღევანდელ ქართულ პოეზიაში ჭანტურიას გზის გამგრძელე-ბელია კოტე ყუბანეიშვილი. ალბათ, ასეა, მაგრამ ეს დაკვირვება, მეჩვენება რომ, ზედმეტად ამარ-ტივებს საკითხს: თუკი ცოტა გავისუფრებთ, შეიძ-ლება ითქვას, რომ კოტე ყუბანეიშვილიც და მეც გარდამავალ ასაკში ვართ - პოეტების უზუცესი თა-ობისკენ გარდამავალ ასაკში; ხოლო თუკი უფრო ღრმად დავაკვირდებით დღევანდელ ლიტერატუ-რულ პროცესს, იოლად აღმოვაჩენთ ჭანტურიას პოეტური სამყაროს კვალს არაერთ-ახალგაზრდა და საშუალო თაობის პოეტის შემოქმედებაშიც და ეს არ არის მაინცდამაინც მიმამტელობა თუ გავ-ლენიდან თავის ვერ დაღწევა - ეს უფრო ახლად ჩა-მოყვანილებული ტრადიციის შემოქმედებითი ათვისებაა.

და სწორედ ესაა დადასტურება იმისა, რომ ტა-რიელ ჭანტურიამ, მისმა „რადიკალურმა პოეზიამ“ მნიშვნელოვანი კვალი დაამწია არა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის, არამედ უკვე 21-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურულ სივრცესაც; და ძირითადად ამის თქმა მინდოდა ამ ნერილში...

* * *

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ეს ესხე საკმაოდ ვრცელი გამოვიდა - საფურნალო ფორმატისთვისაც კი. ამის გამო, ზემოთ დანერგვითი ვერ გან-ვიხილე ის, თუ რა გავლენას ახდენდა ჭანტურიას პოეზია მკითხველზე გასული გაუკუნის 70-80-იან წლებში. მე ეს კარგად ვიცი, რადგან იმ დროს ერთი ახალგაზრდა მკითხველთაგანი მეც ვიყავი. ჭანტუ-რიას კითხულობდნენ ჩემი ნაცნობ-მეგობრებიც და ჩემი ნაცნობ-მეგობრების ნაცნობ-მეგობრებიც - ზოგი აღმფრთხილებული იყო, ზოგი - აღტაცებული,

მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ **ჭანტურის** მასალა ახალსა და თავისუფალს. ჭანტურიას აქვს ერთი შე-სანიშნავი, ნოდარ დუმბაძისადმი (მისი ბოლო დღე-ებისადმი) მიძღვნილი ნაწარმოები, რომელსაც „ინ-ფექციური ლექსი“ ჰქვია, სადაც პოეტი ამბობს, რომ სიცოცხლეც გადამდებია და სიკვდილიც გადამდ-ბიაო... და ვფიქრობ, ასევე თავისუფლება, თავი-სუფლებასთან შეხება: „ახლა სხვა დროა - ახლა იუდას / თავს ვადაუფა თხუთმეტი ვერცხლი“ - წერს პოეტი „გაგანია“ საბჭოეთის პერიოდში...

ქვემოთ ციტირებული ლექსიც („როგორც ბო-ლოს გამოირკვა“) სოციალიზმის ხანაშია დაწერი-ლი, იოლინდ, თუ არ ვცდები, ცოტა მოგვიანებით; ამ ლექსში ტრავიკომიკური განწყობილება საბოლოოდ გამხარბელად დრამატულიაშია გადაიზრდება: იძუ-ლებითი კონფორმიზმი, შეგუება პოლიტიკურ გარ-ემოსთან „ბოლმით ტყინის შეშუპებას“ და „ღარ-დით გულის დანაღმებას“ იწვევს... და ქვეტექსტიც სათელია - არა ვარ თანახმა და, როგორც შეეძლე, მეტ-ნაკლებად ვარულად, პოეტური ენით ვიბრძო-ლებ ბოლომდე:

როგორც ბოლოს გამოირკვა - დებულებების თანახმად,
ყველაფერში უნდა ვიყო დებულებების თანახმა!
მონაა თუ თანამონა, ყმა არის თუ თანაყმა,
ყველაფერში უნდა ვიყო ყმის და მონის თანახმა!
თან - ცაში და თან - მიწაზე, თან - დღელში და თან -
- ალმა,
სადაც უნდა ვიყო, ვიყო უნდა მათი თანახმა!
რო გავერმდი, როგორ ვიქცეო - მე არ მქონდა
განა მამა
მაგრამ რა ექნა! - უნდა ვიყო მეც ყველაფრის
თანახმა!
ბოლმამ ტყინი შემოშუპა, დარდმა გული დანაღმა!
თანახმა ვარ! კი ბატონო!
თანახმა ვარ!
თან-ნახმა!

და იბრძოდა კიდევ, იბრძოდა მასზე უფროს და მასზე უმცროს უზრუნველეს თანამოქალაქმებთან ერთად - მათთან ვინც ვახსენეთ ამ ნერილში და ვინც არ გვიხსენიებია...

მეტს აღარ გავაგრძელებ - მე კარგად ვიცი, რომ, ერთი წერილით კი არა, ერთი დღისტრავიკომიკურიც კარ ამოწურავ იმ მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ თუ პოეტური ნოვაციებისა და ნიუანსების გან-ხილვას, რაც ტარიელ ჭანტურიამ შემოიტანა ქარ-თულ ლიტერატურაში: მისი პოეტური სამყაროს გა-მომწოდებითი ანალიზი სამომავლო საქმეა.

ბრწყინვალე ანსამბლი - სადაც სოლოს ასრუ-ლებენ ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე და უფროსი თაობის კიდევ რამდენიმე გამოჩენილი, ან გენგები - გამოჩენილი, ქართველი პოეტი - დედ-საც გვაოცებს პროფესიულობით და ტექსტების ხარისხით და კიდევ დიდხანს ასე გავგრძელებას უუ-სურვებ ანსამბლის წევრებს!

ნატო ინგოროყვა

სირცხვილი. გამხელა.

სიკვდილი ნამყოფია ჩემს სახლში
თვალეში შემოუხედავს,
სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში
კიდურებმომძვრალ სათამაშოს ჩაერედავდი.

აზღვენებია გზაშიც.


ნაბიჯს აუჩქარებ და
სახლში რომ დაიგულეებ თავს,
თვალს არიდებ ფეხსაცმელებს,
რომლებმაც იციან შენი გულისცემის საიდუმლო
და არ გაგცემენ.

დაუფრთხია ძილიც.

მაგრამ ასეთ დროს
მოდის ჩემთან ბებია,
რომელიც, აქ ასზე მეტი წლისა,
იქ შესაძლოა ბავშვი იყოს.

მოდის და შეშინებულისას შემოილოცავს.

მის საფლავზე კი ჭკნება
მარად მოყვავილე ხელოვნური ყვავილები,
დიდი ხნის წინათ რომ დაფუტოვე
და პირი დავიბანე სირცხვილთან.



თავის დატირება

...სხვაც ბევრი რამ დაძრწა ხათქმელი
ზუსტი სიტყვების არქონის გამო.

ამ ამბავს სინედლე არ უხდება.
ვერც გაახშობ.

სიკვდილი არ გადაიმალება
უნდა ამოვთქვა:

ჩემმა შვილმა კაცი მოკლა
ამბობენ - განზრახ.

მოვიდა ქმარი და მითხრა -
შენმა შვილმა მოკლა.
სანამ ვეტყვოდი - ჩვენმა,
კარი გაიჯახუნა.

გაშასამართლა - ყველამ
ცოცხალმაც, მკვდარმაც.

არავინ დამიტირა.

მარილის ქალაქიდან

გადაიღე,
თუნდაც გიკრძალავდნენ
შეინახე.

ნუ იღარდებ
ჩრდილსა და ნათელზე,
ეს არ არის შუქმგრძნობიარე ამბავი,
გაუხუნარია.

თამამად გადაილე,
მეხსიერების ბარათი
ბევრ ასეთ ამბავს დაიტევს.

დაიმახსოვრე ფოტოებით.

იფიქრე მათ ბედზე,
ვინც ხიდებს შებაბა ბოქლომი
მარად ერთად ყოფნის იმედით და ნანობს
ან პირიქით.

და

მონიშნე ახალი ქალაქი გადასაღებად,
სადაც სიყვარული ყოველთვის მართალია.

MOC-ART

სევდიანია ეს ამბავი,
როგორც სახლ-მუზეუმები,
ოდესღაც - სიცოცხლით
ახლა კი - სიჭმით საესე.

დო, რე, მი,
ჩაგესძის, როგორ ფხაჭნის
სანოტო ფურცელს ქალამი და
თვალი მოცარტინებისკენ გაგირბის.

არჩევ საჩუქრად:
მარცხიანით თუ ნუშით,
ქოლგა თუ სანიშნე,
ან სულაც მაცივარზე მისაკრავი.

დო, რე, მი
სალიერი არაფერ შუაშია,
არც მამა ლეოპოლდი აკაკუნებს კარზე
ვერც სიტყვა „ინფანტილური“ გამოხატავს სათქმელს.

დო, რე, მი,
მინორშია ეს რეკვიემი.

მცირე ამბავი სიტყვებზე

რადაც ხომ უნდა მომხდარიყო
სიტყვების გამო
რომლებიც დაგვცდა.


ზოგიც - ნამოგვცდა.

სიტყვების გამო
მნიშვნელობა რომ მივანიჭეთ,
სახელები რომ შეიფერეს,
ადგილი რომ დაიმკვიდრეს ჩვენს ლექსიკონში.

მამინ

როცა დასასრულით იწყება ამბავი
ძნელია, არ გადაიტანოს მზერა მოსაუბრემ.

მით უფრო



როცა სიტყვაა - სიყვარული,
მხოლოდ სიტყვაა - სიყვარული.

და მაინც

„სიტყვაზე ვამბობ“ - ვინცებით ამბავს ასე,
რომელიც შესაძლოა მომხდარიყო.
ამბავს, რომელსაც ვივინებთ
ან რომლითაც საკუთარ თავს გავცემთ.

ოქროსღილები

ელიზბარს

ჩარტო მოდიოდა,
შენაჩერა და მითხრა:

დამიჯერო უნდა -
დეე-კერპებს ვებრძოდი
და გადავრჩი.

შემდეგ, მხარზე მორიგე ანგელოზი მიზის
და მამხვევებს.

დამიჯერო უნდა -
ძნელი გაზაგამოვიარე,
სანამ შეგხვდებოდი.

შემდეგ, მხარზე იახსარი და კოპალა მიზის
და ილიმებიან.

დააცხვე მათთვის „სადობილო“,
ეს ხეობა ჩვენი სახლია,
ჩემი ჯუბა - პერანგი და -
ზედ ოქროს ღილად მიმამბია.



ოხრა

ქალაქი

ლიმონისფერი და პურისფერი სახლებით,
პოეზიისთვის უხერხული სიტყვებით რომ მოვიხსენიო -
თვითმყოფადი და თვითნაბი,

არა - თვითნება.

და ოთხას სამოცდასამი საფეხური გუმბათამდე.

მე ვნახე იგი გაზაფხულზე,
ვიდეტი თავდაჯერებული სანთელივით,
ვიდრე მხურვალეა არ მოერევა
და შევძახე ფერდაკარგულმა:

ფილიპო,

უცბად ფეხი რომ დაგცდენოდა,
ზონასწორობა რომ დაგეკარგა...

ღანზე ღიმილმა გადაურბინა -

დაცემამდე ანგელოზები
მომახატავდნენ ფრთებს.


ეკა ქევანიშვილი

ლარიბების ტრანსპორტი არსად გაჩერდება

8 ნოემბერი ავტობუსი იყო საშინლად აყროლებული და ასეთივე იყო იმ დღეს ნოემერი სამოცდაათიც - სიყვარულის დამთავრების მეორედღიანაირი. არც უსაფრთხოების სარკმელი გაიღო, ვიღაც კაცი რომ ცუდად გახდა. ჩვენ ის ტურტლიან იატაკზე დავანვინეთ და მოვასულიერეთ. მთავრობა - გავლანძღეთ. მე ჩემი თავიც მივაყოლე, ავტობუსით მგ ზავრობა რომ გადავწყვიტე. ვთქვი, ამ ამბის გამო, ერთ ლექსს ხომ დავწერ უნიათო პრეზიდენტებსა და მინისტრებზე. მეორე დღეს ვინმე ინტელექტუალი ოპოზიციონერი გულებს დამიწერს. მთავრობა კი გამოაცხადებს, რომ მიკერძოებული პოეტი ვარ. პოეზიის მოყვარულები წლების მერე იტყვიან, რომ მე მოქალაქე პოეტი ვიყავი. თუ მოვესწარი, მხარზე ხელსაც დამიტყაპუნებენ, რამე იუბილეს მომინათონ, სცენაზე შემოდგმულ ყვავილებს კუბოს მიდგმა რომ დაამშვენებდა. ქურნალისტები საუფიქრს მოამზადებენ ჩემს მშობლიურ სოფელზე, სადაც 40 წელია არ ვყოფილვარ. ვფიქრობდი ასეთ სასულელებზე ავტობუსში, რომელიც მირასრახებდა ლარიბი ქვეყნის უღიმღამო ქუჩებში. სადაც ისეთი მოწყვნილი ხალხი იჯდა, როგორიც ასი წლის ბებიაჩენია, ავადმყოფი შვილის საწოლთან მიმჯდარი. ისხდნენ ადამიანები უზერხულად დაწყობილი ხელებით მუხლებზე, ითვლიდნენ ხურდებს და არსად მიდიოდნენ.

ამატირა თამარაშენის ხახვმა

ვალა აიდარაშვილი ნამდვილი ადამიანია. მან მკითხა, როცა ნახევრად აშენებული სახლის სამზარეულოში დავსვით, შეუდგებული მანძის ქილების და უკულმა დადგმული დახუფული კომპოტების ფონზე: დენს ხომ არ დამარტყამს ეს მიკროფონი. და დამავიწყდა მომზადებული ჭკვიანური კითხვები ომზე. რა გასაოცოებო, თქვენი ომი როდის დაიწყებო. დამავიწყდა. იმიტომ, რომ ვალა აიდარაშვილს ჩემი კამერის მიკროფონის შეეშინდა. შეეშინდა ათი წლის შემდეგ, სიჩუმეში გაჩხერილი იმ ცხელი დღის მერე, რომელშიც ძროხები უნდა მოენეულა, ხილი დაებინავებინა, ლეიბები დაებერტყა. მან არაფერი იცოდა წაგებული ომისა, მშვიდობას აგრძელებდა. მოსაკრეფი ატმების სეგდა ჭამდა, როცა ჩანთაში აურჩევლად ყრიდა ტანსაცმელს. ამ ვალიამ აიდარაშვილს შეეშინდა ჩემი მიკროფონის! თავისი სახლიდან შორს, სხვა ხრიოკ მინაზე დადგმულ სახლში. ამ, ამ ვალიას, რომელმაც მითხრა, შვილები გამარავლებიან, სამშობლო კი ერთი იყო. ამ ვალიამ, რომელმაც უკან მოიხედა და კვამლადენილი სოფელი დაინახა, და რომელიც დიდხანს, დიდხანს მიდიოდა ომიან გზაზე -



სანამ კილომეტრების დაშორებით,
ისევე არ დაბარა მინა. ისევე არ ჩაყარა თესლი.
მე დაშავებული როგორ იყოები, გაიხსენებები და
გაყვები ეალა აიღარაშვილს ბაღში,
სადაც ეთესა კარტოფილი, კიტრი, კომპოსტო, ნიორი, ხახვი.
გაყვები საბუღარში, საიდანაც სამი კვერცხი ამოიღო,
ლოჯაზე მიიღო და თვალეში დასუჭა.
მერე მოათრია წყალი ჭიდან,
მერე გამოთიხნა პამიდორი.
ნელ-ნელა ავაშენებო, სახლს ახედა.
და ჩამოვდა.
ჩვენ კი მიმზიდველ კადრს ვეძებდით დაუმთავრებელ სახლში,
სადაც ეალა აიღარაშვილს დაესვაძლით და ტყვეობაზე,
ვირთხებიან საკანზე, წყვეტილ ცხოვრებაზე ვალაბარაკებდით.
ის კი ყველგან თამარაშენის ვაშლის ბაღებზე,
და გადარეულ ხახვზე, რომელიც ყველაფერს მოედო.
და რომელსაც რატომღაც შეონდა სხვა სიცოცხლის სუნი,
ვიდრე ქალაქში შემოსხვდებო ხოლმე, იშვიათად.
და მერე მოთხარა და მოთხარა ეალა აიღარაშვილმა ხანვის ბოლქვები,
ჩამიღო და ჩამიღო და წურჩულებდა,
იქ ისეთი ბალი შეონდა,
იქ რომ მოსულიყავი,
ნეტა მოსულიყავი.
ასე ნამოვიღე თამარაშენი დიდ ქალაქში.
და ვარჩე და ვარჩე იმ საღამოს ეალა აიღარაშვილის მოყვანილი
მინიანი ხახვი.
ნელა, ცრემლების შეკავების გარეშე.
და ასე გამოვიტირე სხვისი ომის თავგადასავალი.



პარლამენტმა ცნობად მიიღო სიკვდილი

ცნობად მიიღო შვიდასგვერდინი ანგარიში,
რომელშიც ისე ფრთხილად გეგუდავდნენ,
როგორც ფილმებში, მომზადებულ მოხუცებს სანიტრები.
ისე გერებოდით, როგორც სისხლის ლაქა გამდინარე წყალში.
მოისმინა ჩვენი ამბავი მშვიდად -
ერთ დღეს როგორ ვიპოვეთ ჯიბეში ნარკოტიკები და ვერ ვიცინით.
მაგრამ გვითხრეს - თქვენია, თქვენია.
თუარადა, ჩაგყუდებო.
კარგად მოუსმინა ჩამარხული მუშახტების ამბავს,
სხვაგანაც ხდება - თავი იმართლა.
დიდი გვირგვინი მოიკიდა ზურგზე და სამიძინარზეც მივიდა.
არ გაიოცა, რატომ გადმოაგდეს კაცი პოლიციის შენობიდან.
როგორ გაიგუდა ბიანკა შიგუროვა გაზით.
როგორ დამარხეს ტრანსგენდერი ზიზი კაცის ტანსაცმლით და ბოლომდე ეძახეს,
კაცი ხარ, კაციად დაიბადე, კაციად მოკვდები.
სხვა სამართლი არ არსებობს - ჩვენი მკვდარი ხარ.
თქვეს, გასაგებია სიკვდილი, მაგრამ რა მოსატანია
ის ღარიბი ქვეყნის უბედურებასთან?
აი, უფიზო რეჟიმი.
აი, ჩინეთთან გაჩაღებული ვაჭრობა.
აი, თითო.
ცნობად მიიღო საოკუპაციო ხაზთან დახვრეტილი ადამიანები.
შინძილისგან სულგამძვრალი ჩვილები.
სხვა რა გზა შეონდა -
პარლამენტი ძალიან დაკავებული იყო.

ფურცლები უნდა გადაედოთ
ერთი ადგილიდან მეორეზე.
იდიოტური კანონები მიეღოთ,
ტრიუნიტთან რიგში ჩამდგარიყვენ,
ბორჯომის ბოთლების სროლა აეჭეხათ.
მათ უბედურებისთვის არ ეცალათ.
ასეთ დაკავებულობაში,
ძნელია, შეიდასგვერდინი სიკვდილის ცნობების გადახარშვა.
რა ქნან, როგორ უშველონ ნაცემ პოეტს, თან თუ პატრიარესაც მიაგინა.
ნურც იმ სტაფილოსფერ ტურთუკს ჩაიცვამდა მაგხელა კაცი.
ის ქალებიც, ქმრებმა რომ ყელეები დაჭრეს,
იქნებ ცუდად იქცეოდნენ?
არც შტერი ნაციონალისტების მიტინგის დრო იყო.
ამიტომ ცნობად მიგვიღეს დარაგრული ადამიანები,
ცოტანი არიან, გაიფიქრეს.
ცნობად მიგვიღეს და დაგვივინწყეს,
როგორც ოცი წლის მკვდრები
მათ საფლავებს ბაღახმა რომ გადაუარა.


მინდა გავიზარდო და ბაობაბისხელა გავხდე

ცხრა გაშლილი ხელი ვერ მწვდებოდეს.
გინესის რეკორდების ნიგნში ჩამასვენონ.
ვკაშკაშებდე - ფილტრდადებული უნაკლო სელფივით.
ყველა გლამურული ჟურნალის ყდაზე გეგდო,
როგორც დეკორატიული ფერადი ბურთები - სულელურ ოფისებში.
სკანდალური ფრაზებით მედიას ვეგმავდე.
ფოტოპარატებით თავს მესხმოდნენ.
„ათი კითხვა ცნობილ ადამიანს“ რუბრიკის სტუმარი ვიყო.
კულინარიულ შოუში რამე მთხლეობა გავაკეთო და მინც შემაქონ.
ოდნავ დაღლილი ხმით რომელიმე სოგადსაკაცობრიო თემაზე
ლექცია ვაძლევდე - გაუგებარი სათაურით.
გული სიხარულით მეხეოდეს, თუ სადმე მახსენეს,
მაგრამ მოჩვენებითი გულგრილობით ვამცნობდე სამყაროს
წერტილოვან წარმატებებს.
წერტილების ღრმა ორმოებად გადაქცევა შემეძლოს.
ბორცვების მთებად გადიდება.

ასე მინდა გავიზარდო.
მაგრამ მაგარი ქვეშაფსია ვარ.
მეშინია, შენს თვალში არ დავპატარავდე.

ადექი, დროა.

და უთხარი.
ძალა მოიკრიბე.
ლაშაზად ჩაიცვი.
ყველა ფოტო ცეცხლს მიეცი,
ყველა წერილი ქარს გაატანე.
ყველა თქვენი დღე ამობეჭდე,
ამოახვიე.
მაკულატურაში ჩააბარე.
დროა, გამოდგი საყინულედან
ცრემლები.



მარილის ლოდებს
ყინულმჭრელით გადაუარე.
აღექი, გეყო
გამოგონილი დღესასწაული.
არ მოითმინო.
თითოთსაჩვენებლობა.
სამაგალითო ცოლობა.
იძულებითი მრავალშვილიანობა.
არ დამალო ლურჯი მახეები.
გათენებული ღამეები.
არ დათმო შენი თავი.
არ გაუყო. არ შეწირო.
არ მისცე. არ დაანახო.
არ გაფინო სარეცნი.
ააყირავე სამარილე.
აბრაშუნოს კიდეც ცოტა ხანს
მაგიდაზე მუშტი, კოვზები.
დროა, ადექი.
და უთხარი, რომ
არც შენ გიყვარდა.



წარსულის ლიკვიდაცია

ყველა დილა იწყება ასე.
გავიკეთებ საყურეს რამეს, ძველს, რაც მიყვარდა.
რასაც ხშირად და მზიარულად ვატარებდი და უცებ მძიმდება.
თითქოს მოჰყვება მოგონებები,
ზედ აბია თითქოს ის დახლიც, რომელზეც იდო და ის ვიტრინა,
რომელსაც დიდხანს ვუტრიალებდი, რადგან მიყვარდა.
და ისევ ვიხსნი.
და გამომაქვს გასასხვისებლად.
ფერად-ფერადი მძივები და სამაჯურები,
შარფები, ჩანთის კოლექციები და ტანსაცმელიც,
სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა სიყვარულის
დროს რომ მეცვა და მის გაქრობასთან ერთად უცებ
დაჰატარავდა.
ან პირიქით, იქცა ტომრებად,
დაემსგავსა ჩონჩხს კარადაში ან უჯრებში ობი მოედო.
ვანიავებ.
და გამომაქვს გასასხვისებლად.
აზრი არა აქვს მათ შენახვას, დახარისხებას,
მიზნად დასახვას, რომ ზვალ გახდები,
ან ოც ნელში დაბრუნდება მოდა და მერე
ქალიშვილი ამოქექავს დედას ჩანთიდან.
აზრი არა აქვს.
სულ რამდენიმე ნივთი დარჩეს
და იყოს წონაც, რაც დღესა გაქვს და გიყვარდეს
შენი თავი აქ და ასეთი.
რადგან რაც იყო, შეფუთული აბრეშუმის სილამაზეში
ალარაფრად ღირს და ფოზია,
არაფერი არ გეგონოს იმაზე მეტი, ვიდრე გერგება.
და დამთავრდეს კარადების გადალაგებაც,
როგორც ომების შემდეგ ქვეყნების.
დავიტოვოთ რაც არც გვამძიმებს და არც გვიჭერს.
დანარჩენი - გამოვიტანოთ გასასხვისებლად.
და ნაფიფეთ განახლებულ ცხოვრებებში დასასვენებლად.

მარიამ ქალებაშვილი

დღიური მამას

1
სარკეში ვიყურები და მენატრება მამა.
მამა, ნუთუ გგავარ მენ?
სახის ნაკეთებზე ვაკვირდები ჩემს თავს.
მამა, ვარ კი შენი ძე?
სად ხარ?
მამა, როდის მიშვილე?
შენს სახეს ვერ ვიხსენებ. მიაამაა!
მამა, მიყურებს ზოგი ქალი, უცნაური თვალებით!
ოღონდაც ნუ შემოყვარებენ.
მე...
მოგვკვდები.

2
მარიამი გრძნობს.
ის გრძნობს უფრო მეტს ვიდრე მისი ძმა,
ვიდრე მისი და.

3
მამა მენატრები ისევ.
რამდენი ქალია გარშემო
ამდენი ქალი,
რომელთა გონებაც შეუზღუდავს
სახლს და სტუმართა სიმრავლეს.
მე ვუხმობ მათ, რომ დადგენენ ჩვენ შორის.
მართა, ამბობდა:
(ერთგულია მართა თავისი ქმრის):
„წავიდოდი შორს,
სადაც მთები ჩემი დის
მარიამის თვალებით მწვანეა,
იერუსალიმის კედლებზე მაღალია,
სადაც მწვერვალები ჩემი ძმის სუდარასავით სპეტაკია“.
მართამ მოხსრა, რომ შურს მარიამის,
შურს ჩემი
და მათი, ვისთვისაც ყველა საზრუნავი,
რომელიც იტივრთეს,
სულის კიდით კიდემდე
მათივე თავისუფლების ნაწილია.

4
მამა ისევ ქალებზე უნდა გითხრა...

5
მამა, შენ ხომ დედაც ხარ ჩემი?
ეს რომ ვთქვა, უფრო ადრე გამასამართლებენ,
ვიდრე შენ გეგმავდი.
მამა, აქაურ თეოლოგებსაც ვესაუბრე.
ძე ჰქვია მას, ვინც მამისაგან იშვება!
დედაჩემი ვინლა? -
არასდროს გისაუბრია მასზე.
იქნებ ჩემს შობას გადაყვა?
იქნებ გამაჩინა და მიგატოვა?
მამა, შენ ხომ დედაც ხარ ჩემი?
და რატომ ვართ ასე მამაკაცურები?



რატომ გემოსავენ ასე?
რატომ გვახატავენ სწერებს?
თითქოს წვერის გარეშე სინძინდე ან სიბრძნე გვაკლდებოდეს...
სამსონს თუ ქკუა გრიელ თმებში ჰქონდა,
მამინ ვალიაოთ, რომ ეს ქალები
ჭკუით აღგვემატებინან.
თავის დაბურვას სთხოვენ აქაურ ქალებს,
რომ მათი სიბრძნე საბურველით დაფარონ,
რომ თავალში არ მოხვდეთ ერთგული მართას მჭრელი სურვილები,
და უფრო ერთგული მეძავის მამაცობა.

6
ჩემს მეგობარში არ დავეჭვებულეარ.
ვიცოდი, ვერ გადამარჩენდა.

7
ჩემი მეგობარი დაეჭვდა, რომ ვერ გადავარჩენდი.
ლამის დაიბრჩო.

8
მარიამი მშვენიერია,
მეძავიც
და ყველა ის ქალი,
სახე დანაოჭებული,
ქუთუთოებდამძიმებული,
ვინც თვიაწათი შვილების სარეცლებთან მელოდნენ.

9
ფილოსოფოსებს შეეხედი და
დიდხანს ვიდავეთ პირველსაწყისებზე.
ცეცხლი უთუოდ ძლიერია,
მაგრამ სანამ არ გაცივდება,
შესაძლებელია კი რამე აღმოცენდეს მასში?
წყალი იყო სინათლემდე
და სულები იძვროდნენ წყლებს ზემოთ.
აგორთქლით,
მზეს რაც უფრო მიუვახოვდიო!
პაერი!
მინა!
ბოლოს,
არასარწმუნო სიჩუმეში,
როცა ყოველი აქამდე გამოთქმული აზრი
ვერ ავსებდა სიცარიელეს,
ვიღაცამ წამოიძახა:
სიტყვა!

10
მარიამი მიყვებოდა:
სარკეში ვიყურები და ვაკვირდები საბეს.
კანი მექერცლება.
მექერცლება უკვე მერამდენე დღეა.
აი, ამეზვება, წამოწითლდება
ბერე ფერმკრთალდება
და მეფრცქნება..
მზეზე არ ყყოფილვარ დიდხანს.
სიზმარი გნახე: ბნელოდა
და გერჩინოდი დაჟინებულ მზერას.
არ ვიცო, საიდან მიყურებდნენ.
მინდოდა გავრიდებოდი ამ მკვლელს,
რომელიც არ ვიცოდი,



თავს როდის დამესხმოდა.
ხანდახან შენი ხმა აღწევდა ამ სიბნელეში.
შენი ხმა ჩემს თითებს ეხებოდა,
და მკვლეელი უკან-უკან მიდიოდა.
სახის კანი ისევ მექერცვლებოდა.
ისევ ვიცვლი ამ კანს -
უცხო მზერით დატოვებულ ბოროტებას ვიშორებ.

11

ორმოცი წელი უდაბნოში იხეტიალეს,
მე კი მხოლოდ ორმოცი დღე დავყავი.
მშობიდა როგორც ყველას,
მცოდნა, როცა ღამდებოდა.
თავს ქვაზე დავდებდი თუ არა,
უდაბნოს პატარა ბიჭი მესიზმრებოდა.
მე თითქოს არსაიდან ჩამოვარდნილი
ავიატორი ვიყავი,
რომელიც,
როგორც კი თავის ცისფერ ხომალდს შეაკეთებდა,
ისევ არააით უნდა გაფრენილიყო.
იმ ქვის ალბა და მეჭმა არც მიფიქრია,
როგორც კი თავს დავდებდი,
მაშინვე პატარა ბიჭი ცოცხლდებოდა.
სხვა ქვაც იყო ცოტა უფრო დიდი,
რომლის ქვეშაც ნითურ მელას,
ბიჭის შევობარს,
სახლი ჰქონდა მოწყობილი...
ორმოცი წელი უდაბნოში იხეტიალეს,
პატარა ბიჭი კი არავის დასიზმრებია,
ოაზისებიდან ქვები კედლების ასაგებად გაზიდეს.
კედლის გარეთ შიშს თესდნენ,
კედლის შიგნითაც შიშს იმკიდნენ.
იმ შიშს აცხოვდნენ,
შიშს ჯამდნენ.

12

შენ ზეიბარო, ბრმაო, ამაყად
ვინც სილუაჰის წყალზე მოხვედი,
წყალში მრავალი სირინოზია.
წყალი სავსეა თავკომბალებით.
ამ მღვრიე წყალში მხოლოდ დამხრჩვალან,
განკურნებული ვინ ამოსულა?
შორეულ დროში თვალებე წაგისვი
მინა ჩემს ფურთხში ამოხელილი.
ჯერ დაიბანე, მაგ ფურთხისაგან გათავისუფლდი,
მზე აიმაღლე,
მზარზე ღიმილით დამკარი ხელი -
და დაეინახე, რომ დამინახე.

13

ლექსების წერა დავიწყე.

14

ანონიმური წერილი მივიღე: „საჭირო არ იყო გეთქვა, რომ ჩემი ორი ლუპტა სხვის ოთხზე მეტია“.

15

მამა, სულ კუდში დამდევენ. წყლიდან ხმელეთზე ვერ დავბრუნებულვარ. უკვე მერამდენე ღამეა ერთი და იგივე სიზმარი მეორდება, თითქოს პატარა ბიჭი მელიისთვის დავებულ ხაფანგში გაება.

16



მამა, რატომ ვართ ასე მამაკაცურები?
თუ მდედრული სინაზე მოგვერგება ხანდახან,
თუ უმწიფრონი გავხდებით,
როგორც დეკები, როცა მათ ცოლელს ვარსკვლავებიანად გავეცინებათ,
ნუთუ დავკარგავთ მფარველობის უნარს?
ნუთუ დაკარგავენ რწმენას?
მამა, დაე, ნაპერწკალმა დანვას ჩალის იმედები.
იმედი, რომელიც არ მიგვიცია,
აილა ბროლის სასახლეა.
მომრავლდა ასეთი სასახლეები.
ვინც შიგნით ცხოვრობს,
მიათვის ყველა გარეთ მყოფი
დეგია და სულის წარმწყმედელი.
გარეთ ვდგავარ -
მეშიძლია ბელი შემოვხეიო
მათ ცილინდრულ ბროლის სასახლეებს,
რასაც თავად ვერ შეძლებენ,
სანამ არ გამოვლენ.
ეუფურებ ამ არსებებს,
ვინც თავები ვაკუუმის სასახლეში გამოიკეტეს,
ეუფურებ მათ ტანჯვას უპაეო სივრცეში.
მამა, წაართვი რწმენა -
ამ რწმენით ხომ ვერ გადავრევიან,
ჯერ ერთმანეთი იპოვონ.



17

ერთი ბერძენი გოგო გავიცანი. სახელს ვერ ვისწენებ. მამამისს გაუბრაზდა და სახლიდან გაიქცა.

18

სიჩუმეში ამოსული ყვავილი ვარ,
სიჩუმის წითელი ყვავილი
ყვითელ თავთავებს შორის.
მეშენიერია ეს მინდვრები,
ამ მინდვრებში ქარის მოქროლვა..
ნეტარ არიან, ვინც საფრთხობელებს აღარ დგამენ ამ მინდვრებში.
ნეტარ არიან, ვინც შესაწირს არ განიზავნენ.
ნეტარ არიან, ვინც მოქროლვას ყრუაჩტილად შეიმოსავენ;
ნეტარ არიან, ვინც მოვლენ და ერთმანეთს აკოცებენ.
ნეტარ არიან, ვინც არ მომწყვეტენ, ვინმეს ხელეში მისაჩეჩებლად.
ნეტარ არიან, ვინც ჩემს ფურცლებზე ისვენებენ გადაფერვანად.
უფრო ნეტარნი, ვინც მხოლოდ ჩემი ნეტარით არ საზრდოობენ.

19

კიდევ ერთი ნაჩქარევად შესრულებული ანონიმური ნერილი: „შორიდან მაკვირდება. მერე ზურგის მხრიდან მიასილოვდება და ყელში ვგრძნობ მის ტუნებს. მისი კანი ნაზია, გრძელი თმები და თხელი თითები აქვს, თითქმის გამჭვირვალე. პატარა მკერდი, ციცხილით საესე. ვიღვიძებ და მთელი დღეები ტანში ზრუნაველი მივლის. როგორც კი სიზმარი მასსენდება, თავს უნებურად იქეთ ვხრთ, სადაც კოცნა ამომიშანთა. თითქოს მინდა ჩავეჭიდო, ჯკან დაეპრუნო ის, ვისაც დღის შუქი დაუნდობლად მართმევს. ჩემი საქმრო მალე მოვა. უფრო მეტის თქმა მსურდა, მაგრამ აღარ ვიცი... იქნებ შენ გეთქვა...“

20

